

საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობებით ვაჭრობა საქართველოში

შესავალი

საქართველო შედის დედამიწის ბიომრავალფეროვნების 25 ცხელი წერტილიდან ერთ-ერთის - კავკასიის შემადგენლობაში. ცხელი წერტილების გამოყოფა ხდება მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული საფრთხის მიხედვით. ენდემური და რელიქტური სახეობებით მდიდარი საქართველოს ფლორისა და ფაუნისათვის ძლიერ საფრთხეს წარმოადგენს მცენარეული რესურსების გადამეტებული გამოყენება, რაც იწვევს სახეობრივი მრავალფეროვნების შემცირებასა და ეკოსისტემების დეგრადაციას. პირველ რიგში ეს არის ხე-ტყის გადაჭარბებული მოპოვება (როგორც უკანონო, ისე “კანონიერი” გზით), როგორც ინდუსტრიული (სამშენებლო, ავეჯი და სხვ.), ისე სანვავად გამოყენების მიზნით. მცენარეული რესურსები ასევე გამოიყენება საკვებად, სასუქად, საძოვრად, დეკორატიული და სამკურნალო მიზნით და სხვ.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეული სახეობების უკანონო მოპოვება და ვაჭრობა იყო და რჩება სერიოზულ პრობლემად საქართველოში. ხე-ტყის უკანონო ბიზნესი თანდათან უფრო და უფრო მეტ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკოსისტემებს. წლების განმავლობაში რჩება მოსაგვარებელი ისეთი პრობლემები, როგორცაა სამკურნალო მცენარეებით ვაჭრობა, ცალკე პრობლემად შეიძლება გამოიყოს საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, ანუ ვაშინგტონის კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობებით არალეგალური ვაჭრობის ფაქტები. აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მთავარი მიზეზები კი კანონმდებლობის ხარვეზები და კანონის აღსრულების მექანიზმების სისუსტეა.

სარჩევი

შესავალი.....	1
ანგარიშის მიზანი და კვლევის საგანი	3
ხე-ტყის უკანონო მოპოვება და ვაჭრობა საქართველოში	4
“ნითელი ნუსხისა და ნითელი წიგნის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი	12
უკანონო ჭრები კოლხეთის ეროვნულ პარკში	13
სამკურნალო მცენარეებით ვაჭრობა	15
საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები	18

ანგარიშის მიზანი და კვლევის საბანი

წარმოდგენილი ანგარიშის მიზანია საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისათვის ხელისშემშლელი პირობების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა მათ აღმოსაფხვრელად.

ჩვენი კვლევისათვის საკვანძო სახეობად ავირჩიეთ უთხოვარი თახუს ბაცცატა. ამ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის აღნიშნული სახეობის კვლევა საინტერესო აღმოჩნდა რამდენიმე მიზეზის გამო:

- **ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მაღალი ღირებულება და იშვიათობა:**

ეს არის მესამეული რელიქტი, რომელიც მცირე პოპულაციებისა და ერთეული ინდივიდების სახით არის შემორჩენილი საქართველოში.

- **სტატუსი:**

შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, კატეგორიით მონყვლადი, როგორც სახეობა, რომელსაც მცირე, ფრაგმენტირებული არეალი გააჩნია.

- **გამოყენების ფართო სპექტრი:**

მისი მერქანი ძალზე ძვირად ფასობს და გამოიყენება ავეჯისა და სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად სახარატო საქმეში. გამოიყენება დეკორატიული მიზნებისათვის, როგორც ცოცხალი მცენარეები (გამწვანებისათვის), ისე მოჭრილი ტოტები და ა.შ. გამოიყენება, სამკურნალო მიზნებისთვის (წიწვები გამოიყენება გულის დაავადებების სამკურნალოდ), ტოტებისა და ქერქისგან იღებენ სხვადასხვა სურნელოვან ნივთიერებებს.

მეფის რუსეთის დროს დასავლეთ საქართველოდან უამრავი რაოდენობით იშვიათი სახეობის მერქანი მოიპოვებოდა და გადიოდა რუსეთსა თუ ევროპაში. იმ დროს ნაკლები ინტერესი იყო წიწვოვნებისა და იაფფასიანი ფართოფოთლოვანი მცენარეების მერქნისადმი (წიფელი), სამაგიეროდ ჩვენს ტყეებში ჭრები ტარდებოდა, სპეციალურად, ბზისა და უთხოვარის მერქნის მისაღებად, რამაც ეს სახეობები განადგურების პირამდე მიიყვანა და საბოლოოდ შეცვალა ჩვენი ტყის ეკოსისტემები. ეს რელიქტური მცენარეები ძალზე ნელი ზრდის ტემპით ხასიათდება (ეს რელიქტური მცენარეების დამახასიათებელი თვისებაა, რის გამოც მათ იოლად ემუქრებათ გადაშენების საფრთხე). ასეთი ჭარბი ექსპლუატაციის შედეგად ტყეებში ბზა და უთხოვარი მხოლოდ ბუჩქნარის ფორმით, ან ერთეული ხეების სახით გვხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, უთხოვარი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. აქედან გამომდინარე, მისი მოჭრა კანონით არის აკრძალული. გარდა ჭრისა, ასევე აკრძალულია უთხოვარის ზეზეულ ხეებზე ნედლი ტოტების მოჭრა (სადღესასწაულო, რელიგიური, რიტუალური მიზნებით). კანონი კრძალავს არა მარტო ველურად მოზარდი უთხოვარისადმი ასეთი ქმედებების განხორციელებას, არამედ მკაცრ სანქციებს აწესებს დასახლებულ პუნქტებში, სკვერებსა და ბალებში არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებისა და განადგურების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, სახეობა არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადოდ დაცულად, ვინაიდან არსებობს მისი მერქნის მოპოვების და უკანონო ვაჭრობის ფაქტები, ასევე ძალზე ხშირად შეიძლება ნახოთ ამ მცენარის ტოტები, რომლებიც იყიდება ქუჩაში ყვავილებთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ ამ სფეროში კორუფციის მაღალ დონეს, კანონის აღსრულების ხარვეზებს, შავ ბაზარზე უთხოვარის მერქნის სიდვირესა (1 კუბური მეტრის ფასი უახლოვდება 3 000 აშშ დოლარს) და მცენარის იშვიათობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ,

რომ მას გადაშენების საფრხე ემუქრება. ამ სახეობაზე ჩატარებულმა კვლევა/გამოძიებამ დაგვანახა, რა პრობლემის წინაშე დგას საქართველოში გავრცელებული არაერთი იშვიათი მცენარის სახეობა, უკანონო მოპოვებისა და ვაჭრობის, სამკურნალო და არამერქნულ რესურსებთან და სახეობებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზებისა და კანონის შესრულების სუსტი მექანიზმების გამო.

ხე-ტყის უკანონო მოპოვება და ვაჭრობა საქართველოში

ხე-ტყის უკანონო მოპოვება და ვაჭრობა წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აწარმოებს ხე-ტყის უკანონო წრის დამოუკიდებელ მონიტორინგს. მდგომარეობის ანალიზმა, რომელიც გაკეთდა საველე კვლევების, ინტერვიუების, დაინტერესებული მხარეებთან შეხვედრების შედეგად, დაგვანახა ამ სექტორში არსებული დარღვევების სქემები.

უთხოვართან დაკავშირებით ჩატარებულმა გამოძიებებმა გამოაშკარავა ერთის მხრივ ის დარღვევები, რომელიც არსებობს საქართველოს სატყეო სექტორში და მეორეს მხრივ საფრთხე, რომელიც ემუქრებათ იშვიათ სახეობებსა და ტყის ეკოსისტემებს.



საქართველოში ხე-ტყის დამზადების უფლების მინიჭება წარმოებს მოსაჭრელი რესურსის რაოდენობის შესახებ სათანადოდ დადგენილი ინფორმაციის ფლობის გარეშე. ტყეთმონყობის არსებული მასალები არ ასახავენ საქართველოში არსებულ რეალურ მდგომარეობას. ოფიციალური მონაცემებით, იჭრება გაცილებით ნაკლები, ვიდრე დაშვებულია ტყეთმონყობის მასალებითა და მოცემულია საანგარიშო ტყეკაფებში. ხელოვნურად ხდება მოსაჭრელი რესურსის კვოტების გაზრდა.

პრაქტიკაში ხე-ტყის დიდი ნაწილის დამზადება ხორციელდება მოვლითი წრების სახელწოდებით. ამას აადვილებს ისიც, რომ არსებობს მოვლითი წრის რამდენიმე სახე, რაც "აადვილებს" იმის დასასაბუთებას, რომ მოვლითი წრა ტყეზე არ ახდენს უარყოფით გავლენას. ამასთანავე, მოვლითი წრისათვის ტყის წრის ბილეთის გაცემის პროცედურა უფრო იოლი და არაგამჭირვალე იყო, ვიდრე მთავარი სარგებლობის წრის ლიცენზიის გაცემა.

უკანონო ქმედებების ჯაჭვში ერთ-ერთი მთავარი რგოლია სახერხები. (მხოლოდ ერთ სოფელში - ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში - დაახლოებით 40 სახერხი მუშაობს). საქართველოში მოქმედი სახერხების 90 პროცენტი სხვადასხვა დარღვევით ფუნქციონირებს. გარდა იმისა, რომ აბინძურებენ გარემოს, რაც მთავარია გადაამუშავებენ უკანონოდ მოპოვებულ მერქანს. ხშირად, ეს არის იშვიათი სახეობები, წაბლი, ნეკერჩხალი, მუხა, იშვიათად უთხოვარი.

უკანონოდ მოპოვებული მერქნის დიდი ნაწილი იყიდება თბილისში, ელიავას ბაზრობაზე, ნაწილი კი გადის საზღვარგარეთ - სარფის, ვალესა და ნინოწმინდის საბაჟოების გავლით ავტოტრანსპორტით, ან ფოთის პორტიდან გემებით.

უკანონო წრების მხოლოდ მცირე ნაწილი აღირიცხება. არის ტენდენცია, რომ უკანონო წრები დაბრალდეს ღარიბ მოსახლეობას, რომელიც შეშისათვის მოიპოვებს მერქანს. სინამდვილეში კი მოქმედებს ასეთი სქემა: სახერხები იღებენ შეკვეთებს სამასალე მერქანზე. მერქნის დამზადებას ახდენენ სოფლის მაცხოვრებლები, რომლებიც მოჭრილ

ხე-ტყეს მცირე პარტიებით ეზიდებიან, რისთვისაც შესაძლოა გამოყენებული იქნეს სრულიად პრიმიტიული ტრანსპორტი. უფრო ხშირად მოჭრილი მასალა ხარებით თრევით გამოაქვთ. ტრანსპორტირებისათვის აქტიურად გამოიყენება ყოფილი სამხედრო მანქანები, რომლებიც ჩამონერის მერე მოსახლეობას აქვს შეძენილი. სახერხებზე მასალას იძენენ პირადი მოხმარებისათვის ადგილობრივი მაცხოვრებლები, ან მოვაჭრეები, რომლებიც შემდგომი გადაყიდვის მიზნით შეკვეთას აძლევენ სახერხ სანარმოებს. შემდეგი მყიდველები შეიძლება იყვნენ ელიავას ბაზრობზე მოვაჭრეები, რომლებიც ნედლი და ნახევრად გამომშრალი მასალით ვაჭრობენ, მცირე სანარმოები, რომლებიც დაბალი ხარისხის ავეჯსა და სხვა ნაკეთობებს ამზადებენ, ან უფრო მსხვილი სანარმოები, რომლებიც აღჭურვილი არიან საშრობებით. ასეთები ძირითადად ქალაქებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში ფუნქციონირებენ. ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ ის მენარმეები, რომლებიც ხე-ტყის ექსპორტს აწარმოებენ.

მერქნის დამზადებისას ყველაზე ხარჯიანი ქმედება არის ტყეში გზების გაყვანა. ამის გამო, უკანონოდ მოჭრა ხდება ძირითადად მთავარი გზების გასწვრივ, ტყის პირებზე ან დამრეც ფერდობებზე, საიდანაც ადვილია სამანქანე გზამდე მორის დაცურება. ლიცენზიანტის მიერ ტყეკაფამდე მისასვლელი გზის გაყვანის შემთხვევაში, როგორც წესი, ამ გზებით სარგებლობენ სხვებიც — როგორც პირადი მოხმარების მიზნით შეშის, ისე უკანონო სამამასალე მერქნის დამამზადებლები. ამას ემატება თავად ლიცენზიების მფლობელების მიერ განხორციელებული დარღვევებიც — ზედმეტი ხეების მოჭრა და სხვა. როგორც წესი, ლიცენზიები 1 წლიანი ვადით გაიცემოდა, რის გამოც მისი მფლობელი არ იყო დაინტერესებული დაეცვა თავისი ტყეკაფი, ან მით უმეტეს, აღდგენითი ღონისძიებები განეხორციელებინა. ასეთი დარღვევები შეუძლებელია ჩადენილი იქნას ტყის მოვლა-პარტონობაზე პასუხისმგებელი უწყების მხრიდან თვალის დახუჭვის გარეშე. ბოლო წლებში არაერთი მეტყევე იქნა მხილებული უკანონო ქმედებაში, მათ შორის მაღალჩინოსები. თუმცა უკანონო ქმედება ტყეში ხის მოჭრით არ მთავრდება და მისი გამოვლენა შეიძლება ტრანსპორტირებისას, გადამუშავებისა და ექსპორტირებისას. აქედან გამომდინარე კი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის სისტემის მუშაკები თავის მხრივ კორუფციულ გარიგებებში ბრალს სდებენ გდი-ის, ადანაშაულებენ რა მათ ტყეში რეიდების დროს ქრთამის აღებაში, მერქით დატვირთული ტრანსპორტის გაცილებასა და უკანონოდ მომუშავე სახერხების მფარველობაში. ("ტყეში რეიდებს თავად ატარებენ და ფულს ართმევენ ხალხს, იქ ვინ რას დაინახავს. ხერგილებზე ამდენი ფული არ კეთდებოდა, მაინც უცხო თვალს შეეძლო დანახვა"¹).

ზოგიერთი, საშრობით აღჭურვილი, სანარმო დაინტერესებულია უკანონოდ მოჭრილი ძვირფასი სახეობების მერქნით. დიდი მოთხოვნილებაა მუხაზე, რომელიც პარკეტის დასამზადებლად გამოიყენება. მუხის მოჭრა აკრძალულია და აქედან გამომდინარე, საქართველოში დამზადებული მუხის პარკეტი, მცირე გამონაკლისის გარდა, რომელიც რუსეთიდან და უკრაინიდან შემოტანილი მასალით მზადდება, უკანონო გზითაა დამზადებული.

მასიურად იჭრება „წითელი ნუსხის“ სახეობა ნაბლი დასავლეთ საქართველოში. ასევე მასიურია ნეკერჩხალის დამზადება სამეგრელოსა და სვანეთში. ინტერვიუებით მიღებული ინფორმაციით, ფოთში ხის გადამამუშავებელ სანარმოებში ხდება ნეკერჩხალის გაშრობა და პროდუქციის დამზადება. სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენელთა ზეპირი ინფორმაციით, უკანონოდ დამზადებული ნეკერჩხალი „თეთრი წიფელის“ სახელწოდებით

¹ ასოციაცია მწვანე ალტერნატივას პროექტის - "ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება საქართველოში ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთისათვის", ფარგლებში ჩატარებული სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები. პროექტის განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

საბაჟოს გავლით თურქეთში და ევროპაში ექსპორტირდება.

დიდი დიამეტრის მქონე უთხოვარი, რომელიც სამასალედ შეიძლება გამოდგეს, საკმაოდ იშვიათი გახდა საქართველოს ტყეებში და ერთეული ხეების სახით შემორჩა მიუვალ ადგილებში. უთხოვარი საკრალური მნიშვნელობის ხედ ითვლება და მას უფრთხილდებიან, ხოლო მოჭრის ფაქტები კი საგულდაგულოდ ინიღბება. მოჭრილი მორები ფიცრებად იხერხება და კანონიერ მერქანთან შერეული იყიდება (შესაძლოა წიფელთან ან ალუბალთან ერთად). ეჭვს ბადებს, როცა მცირე მოცულობის - 8 მ³ - კონტეინერით მერქანი გემით ტრანსპორტირდება შორ მანძილზე, ვინაიდან ასეთი სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ძვირფასი მერქნით, როგორცაა უთხოვარი ან ბზა.

უთხოვარის ტოტების დამზადება ხდება ახმეტის რაიონში, რომელიც გამოიყენება როგორც მოსართავად, ასევე სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებების მისაღებად.



დღეს არსებული სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა იმდენად ორაზროვანი და გაუმართვია, რომ კანონიერი ტყის ჭრაც კი გარკვეული თვალსაზრისით უკანონოა. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, თუ გავისხენებთ საქართველოს ტყის კოდექსში მოცემულ დეფინიციას: "ხის უკანონო ჭრა - ხეების ნებართვის გარეშე მოჭრა". სინამდვილეში, ტყის ჭრა, რომელიც განხორციელებულია არასწორად გაცემული ნებართვით/ლიცენზიით, ყალბ მონაცემებზე დაყდნობით დადგენილი კვოტებით, იგივენაირად აზარალებს ეკოსისტემებს, როგორც ულიცენზიოდ ჩატარებული, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს დანაშაულის უფრო მეტ ნიშნებს, ვინაიდან დაკავშირებულია კორუფციასთან.

სატყეო სექტორთან დაკავშირებული მთელი სისტემა ისეა აგებული, რომ უკანონო ქმედების ჩადენა და კანონიერების საბურველით დაფარვა, ანუ ეგრეთ ნოდებული "გაპრავება", სულაც არ არის შეუძლებელი საქმე. არსებული რეგულაციების მიხედვით, ტყის ჭრის ჩატარების წესები, მათი შემოწმება, კონტროლი, დარღვევის არსებობა-არარსებობა და მათი დაფიქსირება დამოკიდებულია პირველ რიგში საბაზო მონაცემების სისწორეზე. ხე-ტყის დამზადება კანონიერად, ტყის ეკოსისტემებისათვის უსაფრთხოდ, განპირობებულია ტყის მდგომარეობის, მოსაჭრელი რესურსის და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ მონაცემების სიზუსტეზე და ზედმინვენითი სატაქსაციო მონაცემების არსებობაზე (ტყეთმონყობის მასალები ზუსტია, საანგარიშო ტყეკაფები ზუსტადაა დადგენილი, ფონდები ზუსტადაა გამოყოფილი, ხდება ჭრაგავილილი უბნების ზუსტი აღრიცხვა და კონტროლი და ასე შემდეგ). თავად ჭრის წესები კი სუბიექტურ კრიტერიუმებს ეყრდნობა.

ტყის კოდექსის მიხედვით, მთავარი სარგებლობის ჭრებით ხე-ტყის დამზადების ყოველწლიური შესაძლო ოპტიმალური ოდენობის (საანგარიშო ტყეკაფის) დადგენა ხდება ტყეთმონყობის მასალების საფუძველზე ტყის ფონდის ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით. ტერიტორიული ორგანოების საანგარიშო ტყეკაფების ჯამით მიიღება რეგიონების ან მთლიანად ქვეყნის საანგარიშო ტყეკაფის ოდენობა.

ამავე კოდექსის მიხედვით, რომელიც იმ დროსაა მიღებული, როცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შემადგელობაში ჯერ არ შედიოდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, საჭირო იყო მომხდარიყო გარკვეული შეთანხმება ამ უწყებებს შორის მთავარი სარგებლობის საანგარიშო ტყეკაფების დადგენისა და მათი რაოდენობის გაზრდის თაობაზე:

„მუხლი 72.

2. საანგარიშო ტყეკაფს ადგენს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

3. საანგარიშო ტყეკაფის გაზრდა ან შემცირება დაიშვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ტყეთმონყობის მასალების, ტყეების დაცვის რეჟიმის, კატეგორიების და სხვა ისეთი პირობების შეცვლისას, რომლებიც გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობაზე და შესაბამისად - ტყეთმონყობის მასალებზე”.

სწორედ ამიტომ, ოფიციალური მონაცემებით არასოდეს არ იჭრებოდა საანგარიშო ტყეკაფებით გამოყოფილი ხე-ტყის მოცულობაზე მეტი. ასეთი "სანდო" სტატისტიკით ხელმძღვანელობის პრაქტიკა გრძელდება დღემდე:

ცხრილი. 1 საანგარიშო ტყეკაფის გამოყენება 1990-2005 წ.წ.

მოცულობა 1 000 კმ³

	1990	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005
საანგარიშო ტყეკაფი სულ კუბურ მეტრებში	200.0	200.0	175.7	218.7	219.6	52.0	61.5	66.2
ფაქტიურად მოჭრილია სულ	159.0	81.0	33.6	28.0	27.0	27.5	30.7	38.6
საანგარიშო ტყეკაფის გამოყენება პროცენტულად	79.5	40.5	19.0	13.0	12.0	53.0	49.9	

ინფორმაციის წყარო: სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჭრების განხორციელებისათვის აღარ ტარდება სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და აღარ გაიცემა გარემოსდაცვითი ნებართვა, ცხადი იქნება, რა დონეზე დგას მონაცემების გაყალბება და მისი მეშვეობით არალეგალურ ჭრების დაფარვა.

აქვე შეიძლება მოვიტანოთ 2 000 წლის მონაცემები, როცა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი და გარემოს დაცვის სამინისტრო ცალკეული უწყებები იყო. სატყეო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით მზადდებოდა 400-600 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებით ყოველწლიური ჭრების მოცულობა 2,5 მლნ. მ³-ს აღემატებოდა. ეკოპოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით ეს მონაცემი შეადგენდა 3.42 მილიონი კუბურ მეტრს²

ამჟამად, ეს ორი სახელმწიფო დაწესებულება ერთ უწყებას წარმოადგენს. სამინისტროს სტრუქტურა უკიდურესად ცენტრალიზებულია, მის რეგიონულ სამსახურებს ძალზე შეკვეცილი უფლებამოსილებები და მოკრძალებული შესაძლებლობები დაუტოვეს. ასე რომ, უკანონო ჭრების მოცულობის შესახებ ოფიციალური მონაცემების მოწოდებისას სამინისტრო ეყრდნობა სატყეო მეურნეობებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, როგორც წესი, შორს დგას რეალური მდგომარეობის ასახვიდან.

² სოციალური შეფასება, საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტი, ივლისი, 2000

ცხრილი 2. ოფიციალური მონაცემები უკანონო ჭრების შესახებ 1998-2005 წლებში.

წლები	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
ოფიციალურად დაფიქსირებული უკანონო ჭრის მოცულობა (მ ³)	34,643	32,353	41,652	47,044	46,180	56,988	60,846

ინფორმაციის წყარო: სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი

2005 წელს სამინისტროში ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის ინსპექცია (გდი), რომლის ერთ-ერთი მთავარი მოვლეობაა ხე-ტყის არალეგალური ჭრის წინააღმდეგ ბრძოლა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს მექანიზმიც ფრიად სუსტი აღმოჩნდა, რამდენადაც გდი არ აკონტროლებს მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ის ახდენს რეაგირებას ცალკეულ ფაქტებზე, ან აწყობს გეგმიურ შემოწმებებს. გარკვეულწილად, გდი-ს თანამშრომლები "მეხანძრეების" ფუნქციას ასრულებენ. კონტროლს ისიც ართულებს, რომ "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონმა ერთობ შეზღუდა ინსპექცია. კერძოდ, აღნიშნული კანონის თანახმად, გდი წელიწადში ერთხელ, ან თვითონ წარადგენს ანგარიშს, ან სხვა შემთხვევაში, მინისტრმა უნდა გამოსცეს ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი ამა თუ იმ მენარმის შერჩევითი შემოწმების მიზნით. ცხადია, რომ ასეთი სიტუაცია ვერ ქმნის იმ მაკონტროლებელ "ბადეს", რომელსაც შეეძლება ქვეყნის მასშტაბით არეგულიროს ჭრები და დამდგარი ზიანის სრული ან ობიექტური სურათი წარმოადგინოს. სახეზეა მხოლოდ ფრაგმენტული, შემოწმებული სატყეო მეურნეობის, ან ცხელი ხაზით შემოსული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად მიღებული ლოკალური სურათი. მთლიანად ქვეყნის, ან თუნდაც რომელიმე რეგიონის შესახებ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს. აქ შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გაკეთება. რა თქმა უნდა, ლიცენზიანტის მხრიდან ადგილი ექნება დარღვევებს არალეგალური (ზედმეტი, ან ჭრაში მოუნიშნავი) ჭრების და ჭრის წესების სხვა დარღვევების სახით (მაგ. იშვიათი და ძვირფასი სახეობების მოჭრა, საუკეთესო ხეების მოჭრა, დაავადებული და ხმელი ხეების დატოვება, გაუნმენდაობა და ა.შ.).

პრაქტიკულად აღარ ხდება ჭრაგავლილი უბნების კონტროლი. თუ ადრე მეტყევე მიჰყვებოდა ტყეკაფზე ტყით მოსარგებლეს და ყურადღებას აქცევდა, რომ მოუნიშნავი ხე არ მოჭრილიყო, ახლა ამგვარი რამ პრაქტიკულად აღარ ხდება. თუ ხდება ტყით მოსარგებლეთა შემოწმება, მხოლოდ ტყის გამოსასვლელებთან არსებულ ხერგილებზე. ბევრ სატყეო მეურნეობებში აკრძალეს ხერგილები, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ აქ ხდებოდა კორუფციული გარიგებები. სამაგიეროდ, ტყეში გასვლებსა და რეიდებს, უკანონო ქმედებების გამოვლენის მიზნით, ატარებს გდი. ეს იყო ანალოგია იმ რეფორმისა, რომელიც განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, როცა გაუქმდა საგზაო პოლიცია, გაუქმდა პოსტები ტრასებზე და აიკრძალა რეიდებში მანქანების გაჩერება, ხოლო ეს ფუნქცია დაეკისრა პატრულს.

გდი-ისთვის დასახული ამოცანა გაცილებით ძნელი და პრაქტიკულად შეუსრულებელია. ტყეში უკანონო ჭრის აღმოჩენა მოითხოვს უზარმაზარ ადამიანურ რესურსებს, სათანადო ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, რაც, სამწუხაროდ, ჯერ ამ სტრუქტურას არ გააჩნია. სატყეო მეურნეობების მუშაკებიც ტყის დაცვის მათზე კანონით დაკისრებულ ფუნქციას შეუსრულებლად მიიჩნევენ, რადგან ტყის დაცვის მუშაკს აბარია ათასობით ჰექტარი ტყე, ხოლო ხელფასი მცირეა. ასეთი სიტუაცია, როცა უკანონო ქმედება ერთმა სახელმწიფო უწყებამ შეიძლება გადააბრალოს მეორეს, ხოლო ორივემ "ობიექტურ" პირობებს (მწირი შესაძლებლობები, ხალხის სიმცირე და ა.შ.), ქმნის კარგ შესაძლებლობებს კორუფციული გარიგებებისათვის.

ბოლო წელს საკმაოდ დიდი თანხა შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში უკანონო ჭრებით მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ. მაგრამ, თუ გავაანალიზებთ, ეს არის თანხა,

რომელიც საპროცესო გარიგებების შედეგად გადაიხადეს სატყეო სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა. ეს ერთის მხრივ დადებითი მოვლენაა, მაგრამ მეორეს მხრივ, კორუფციის მაღალ დონეს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ასევე კვლავაც დაბალია უკანონო ჭრების გამოვლინება (ანუ აღმოჩენილი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის მფლობელის დადგენა) და დამრღვევების მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მაჩვენებელი. 2005 წელს უკანონო ჭრების გამოვლინება იყო დაახლოებით 40 პროცენტი; ხოლო ანაზღაურება 11 პროცენტი, რაც ძალზე დაბალი შედეგია. იხ. ცხრილი 3.

ცხრილი 3. ტყის დაცვის მდგომარეობის შედეგები 2005 წელს

2005 წელი						
უკანონო ჭრა სულ კმ	მ.შ. დამნაშავეების გამოვლინება კმ გამოვლინების %	გადაცემული ოქმები (ცალი)	განხილულია (ცალი)	ტყეზე მიყენებული ზიანი (ლარი)	ანაზღაურებულია (ლარი)	ასანაზღაურებელია (ლარი)
55 409	22 685 41 %	3641	3 073	1 462 922	166 600	1 296 322

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გამოვლენილი უკანონო ჭრები რეალურად არსებულის 10 % არ აღემატება (იხ. ქვემოთ კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებული მონაცემები), კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვივარაუდოთ სექტორის ინსტიტუციური მოწყობის უფარვის მოდელზე და კორუმპირებულობაზე.

უკანონოდ მოპოვებული მერქნითა და სხვა რესურსებით საერთაშორისო ვაჭრობა შეუძლებელია საბაჟო სამსახურების ხელშეწყობის გარეშე. ისინი ან უნდა მონაწილეობდნენ კორუფციულ გარიგებებში, ან არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო ვერ ამჩნევდნენ დარღვევებს. სწორედ ამ უკანასკნელი უწყების ვალდებულებაა არ მიიღოს და არ გაატაროს CITES-ის დანართებში შეტანილი ფაუნისა და ფლორის სახეობების ნიმუშები შესაბამისი ნებართვებისა და სერტიფიკატების გარეშე. ასევე მისი ვალდებულებაა უკანონოდ მოპოვებული სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის აღკვეთა. მათ უნდა შეეძლოთ ნიმუშისა და სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა. დარღვევის აღმოჩენისათვის აუცილებელია სახელმწიფო მაკონტროლებელი სამსახურების მიერ საბაჟოსა და სატყეო უწყებების დოკუმენტაციაში დეკლარირებული პროდუქტის შედარება, ასევე სხვადასხვა მოსაზღვრე ქვეყნის საბაჟო სამსახურების მონაცემების შედარება.

დამოუკიდებელი უწყების მიერ მონიტორინგის წარმოებისას პრაქტიკულად შეუძლებელია სატყეო უწყებისა და საბაჟო უწყებების მონაცემების შედარება. ტყის ჭრის ლიცენზიებსა და ხე-ტყის კანონიერების წარმოშობის დამადასტურებელ საბუთებში აღნიშნულია მოჭრილი მერქნის სახეობა და მოცულობა კუბურ მეტრებში, ხოლო საბაჟო საბუთებში კი სხვადასხვა სახეობის პროდუქტია ტონებში. ამასთანავე, მაგალიათად, მოჭრილი ნიფელი შეიძლება იყოს კოდით მოხსენიებული სხვადასხვა პროდუქტია: ჩამოგანული ფიცარი, ნიფლის მასალა, ნიფლის სამასალე მერქნის ორნანიბურა ძელი, ჩამოუგანავი ფიცარი, დახერხილი ფიცარი, ნიფლის შპონი დაჭრილი ნაწილებად, ნიფლის ძელაკი, პარკეტი და ა.შ. ფანერა, და ა.შ. რომლებიც შედიან სასაქონლო კოდში 440, თითოეული სხვადასხვა კოდით, რაც კიდევ უფრო ართულებს კორელაციის დადგენას სატყეო და საბაჟო დოკუმენტაციას შორის.

საბაჟო სამსახური ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სტრუქტურად ითვლებოდა საქართველოში. ამ ბრალდებით მრავალი პირი მისცეს პასუხისგებაში, რამდენჯერმე შეიცვალა ამ სამსახურის პირადი შემადგენლობა. ამის გამო თანამშრომლებს აკლიათ

გამოცდილება. მათ უჭირთ მერქნული სახეობების ვიზუალური იდენტიფიცირება, ისევე როგორც CITES სახეობების. აქედან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია დაადგინონ იშვიათი სახეობის მცენარის მერქანი, რომელიც შეიძლება შერეული იყოს სხვა მერქანთან, მაგალითად, თუ დახერხილ ნიფელთან ერთად შერეულია უთხოვარის რამდენიმე ფიცარი. მართალია საბაჟოზე ტვირთის მფლობელი წარადგენს საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატის ექსპერტების მიერ გაცემულ საბუთს, რომელიც ადასტურებს პროდუქციის (მაგ. ხე-ტყის) წარმომავლობას, მაგრამ ასეთი საბუთითაც შეუძლებელია სიყალბის დადგენა. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ხე-ტყე მოჭრილი იყოს ახმეტაში ან მესტიაში ნებართვის გარეშე, ხოლო საბუთებში აღნიშნული იყოს, რომ კანონიერად მოიჭრა ცხინვალში. როგორც აღინიშნა, ხე-ტყის წარმოშობისა და კანონიერების დამადასტურებელ საბუთებში მისი რაოდენობა იზომება მოცულობით (კუბურ მეტრებში), ხოლო საბაჟო საბუთებში წონით. მებაჟემ კი არ იცის არც მერქნის მოცულობის დადგენა და არც შეფარდება ამა თუ იმ სახეობის მერქნის წონასა და მოცულობას შორის (კუთრი წონა). შესაბამისად ბრმად უნდა ენდოს იმას, რაც დოკუმენტში წერია, ან ამ უცოდინარობით გაიმართლოს თავი.

გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით რეგულირდება „ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესი“, რომელიც მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს. მაგალითად: დოკუმენტების გამცემი ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს შესაბამისობა ფაქტობრივად დამზადებულ ხე-ტყესა ან/და ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქციასა და დოკუმენტით განსაზღვრულ რაოდენობას შორის; როგორ დაადგენს ფაქტობრივად დამზადებულ ხე-ტყესა ან/და ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქციასა და დოკუმენტით განსაზღვრულ რაოდენობას შორის შესაბამისობას უფლებამოსილი პირი, იმ შემთხვევაში, თუ გასულია გარკვეული პერიოდი, ეს ქონება გადაყიდულია რამდენჯერმე და მწარმეს სურს მისი საზღვარგარეთ გატანა? სახელმწიფო ორგანოებს წარედგინებათ ხე-ტყის თანმხლები დოკუმენტების ასლები. თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით კი სულაც არ არის ძნელი ასლებზე სხვადასხვა მანიპულაციის ჩატარება, გაყალბება.



2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში ცვლილები შევიდა საქართველოს კანონმდებლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების საგაბარიტო პარამეტრებთან დაკავშირებით. კერძოდ, ახალი წესების მიხედვით, თითოეულ ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას, ან/და ქარხნული წესით დაშვებულ წონას, ან/და საერთო წონა 44 ტონას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტვირთის მფლობელს სოლიდური ჯარიმა ელოდება - თითოეულ ზედმეტ ტონაზე 1 000 ლარი. საბაჟო სამსახური ვალდებულია შეამოწმოს მანქანის წონა და დარღვევის შემთხვევაში გამოიძახოს საპატრულო პოლიცია, რომელიც შეადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტს და დამნაშავეს დააკისრებს სახდელს. დარღვევის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა საკუთარი ხარჯით უნდა მოახდინოს ტვირთის კორექტირება: დაცალოს სატრანსპორტო საშუალება და მოქმედი წესების დაცვით თავიდან დატვირთოს.

სატვირთო მანქანების წონა ძირითადად საბაჟოზე ფიქსირდება, თუმცა, შემოწმება საპატრულო პოლიციასაც შეუძლია.

საქართველოს ძირითადი მერქნიანი საექსპორტო სახეობაა ნიფელი, ასევე გარკვეული წილად გადის წინვოვნები - უმეტესად ნაძვი და ფიჭვი. როგორც წესი, საქართველოს ტრასებზე მძიმე ავტოტრანსპორტით ძირითადად ახლად მოჭრილი ხე-ტყე გადააქვთ, იშვიათად ნახევრად გამომშრალი. მხოლოდ ნიფელი, თუ ის გადის საზღვარზე, გადააქვთ კარგად გამომშრალ მდგომარეობაში. სპეციალური სატყეო ლიტერატურაში გამოთვლილია 1 კუბური მეტრი მერქნის წონა კილოგრამებში (ცდომილება მერყეობს

10%-ის ფარგლებში).

მერქნის სახეობა	1 მ ³ ნონა კილოგრამებში		
	მშრალი	ნახევრადმშრალი	ახალმოჭრილი
წიფელი	630-710	770	968
ნაძვი	350-600	500-600	794
ფიჭვი	310-710	550-560	863
სოჭი	370-600	470	827

საშუალოდ ტრაილერზე დებენ 25-30 მ³ დახერხილ ხე-ტყეს. ჩვენში, ძირითადად, ხე-ტყის გადასაზიდად გამოიყენება “კამაზის” ფირმის ბორტიანი სატვირთო მანქანები. “კამაზის” მხოლოდ ორ მოდელს შეუძლია წაილოს 25 მ³ წიფელის მასალა, ისე, რომ დაცული იყოს კანონმდებლობის მოთხოვნები. თუ დარღვევა (წონის გადაჭარბება) დაფიქსირდება, გარდა პირდაპირი ჯარიმისა, ეს ხე-ტყის მფლობელისთვის სხვა დამატებით დანახარჯებსაც გამოიწვევს (ხელახალი დატვირთვა, დამატებითი სატრანსპორტო ხარჯები). ტრაილერის ნახევრად დატვირთვა ასევე წამგებიანია.

ჩვენი ინფორმაციით, საბაჟოზე ხდება ხე-ტყის ნაკლები მოცულობის გაფორმება. შესაძლოა ჰქონდეთ ხე-ტყის მოპოვების საბუთი უფრო მეტ რაოდენობაზე, მაგრამ საბაჟოზე დაფიქსირდეს უფრო ნაკლები. მაგალითად, ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დოკუმენტებში დაფიქსირებულია 35 მ³ წიფელი. ეს რაოდენობა წონით არის 22 750 კგ. სატვირთო მანქანას (მაგ. “კამაზ 53229”) უფლება აქვს გადაიტანოს მხოლოდ 16 700 კგ. შესაბამისად, იმისათვის, რომ აცილებულ იქნეს ჯარიმები და სხვა დანახარჯები, უნდა გაფორმდეს არაუმეტეს 25 მ³-ისა. საბუთების (სატყეო მეურნეობის მიერ გაცემული ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დოკუმენტები) მიხედვით, მას კიდევ აქვს “დარჩენილი” კანონირად მოპოვებული 10 მ³ მერქანი. ეს “სხვაობა”, შესაძლოა შეივსოს უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის ხარჯზე, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე ყალბი საბუთები³. ანუ “გათეთრება” უფრო ადვილი ხდება, ვინაიდან მნიშვნელობანი საბუთების დიდი ნაწილი უკვე აქვს ტვირთის მფლობელს.

სავარაუდოდ, კორუფციაში საბაჟოს გარდა შესაძლოა იყოს ჩართული საპატრულო პოლიცია, ფინანსური პოლიცია და მესაზღვრეები. თუ დარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა, დამნაშავეს ადმინისტრაციული სასჯელი ელოდება, მაგრამ თუ დარღვევა სომხეთის ან თურქეთის მხარეს დაფიქსირდა, ეს უკვე კონტრაბანდაა და სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულია. ამიტომ, ხე-ტყის ექსპორტს ეწევა მენარმეთა მხოლოდ ის ნაწილი, რომელთაც ეს გზა “გაკაფული და ათვისებული” აქვთ. ჩვენი ინფორმაციით, სომხეთის მხარეს კონტრაბანდული ტვირთების უსაფრთხოდ გადატანას ვინმე მანუკიანი აგვარებს. თუ ხე-ტყე მასთან მიდის, პრობლემები მოხსნილი გაქვს - ასე ამბობენ მენარმეები.

ჩვენი აზრით, არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია საბაჟოს და სატყეო დეპარტამენტის მიერ გაცემული დოკუმენტების შედარება და მუდმივი მონიტორინგი; ასევე მეზობელი ქვეყნების საბაჟოებიდან მონაცემების აღება და შედარება.

³ ბორჯომის და ადიგენის რაიონში სომხეთიდან ჩამოსული საქმოსნები მზად არიან ხე-ტყის ყალბ საბუთებში გადაიხადონ 120-140 დოლარი 1 კუბურ მეტრში.

“წითელი წუსისა და წითელი წიგნის უსახეო” საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი

იმერეთის რეგიონში ნაბლნარების მდგომარეობა ფრიად არადაამაკმაყოფილებელია. აქ აღინიშნება ნაბლნარების ხმოზა სხვადასხვა ხარისხითა და ინტენსივობით. ნაბლნარების ხმოზის მთავარი მიზეზია ნაბლის ქერქის კიბო. მსოფლიო ბანკის ტყის განვითარების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ცალკეულ ადგილებში სალი ხეების რაოდენობა 16 პროცენტს არ აღემატება. ამ კვლევის დასკვნაში ვკითხულობთ: “იმერეთის რეგიონის გამოკვლეული სატყეო მეურნეობების ნაბლნარებში ფიტოსანიტარიული მდგომარეობა ნაბლის კიბოს (*Cryphonectria parasitica*) გავრცელებისა და ხმოზის ორივე ტიპის ინტენსივობის მიხედვით ასეთი მდგომარეობაა ხუთივე სატყეო მეურნეობის საშუალო მაჩვენებლებიდან გამომდინარე: პირობითად სალია ხეების — 43,87%; ხმოზადია — 40,53%; გამხმარია — 15,60%, ე.ი. ხმოზადი და გამხმარი ხეების საერთო რაოდენობაა — 56,13%, რაც იმას გვიჩვენებს, რომ ამ რეგიონის ნაბლნარების მდგომარეობა ფრიად არადაამაკმაყოფილებელია და სასწრაფოდ მოითხოვს ფართო მასშტაბის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელებას”⁴.

იმერეთის ნაბლნარების გამაჯანსაღებელი ღონისძიების გატარების საბაბით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ კონკურსის საფუძველზე გამოავლინა გამარჯვებული და ნაბლის მერქნის დამზადება ხელშეკრულება დაუდო შპს “დე ენდ ვე”-ს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება არ იყო კანონიერი, ვინაიდან ნაბლი შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში”. ამის შესახებ უკვე აღნიშნულია ჩვენს გამოცემაში “საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები”⁵.

ევროკავშირში მიღებული წესებით ნაბლის მერქანს აუცილებლად უნდა ახლდეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ არის მოპოვებული იმ ადგილებში სადაც არის ნაბლის კიბოს ეპიდემია. შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებში შეუძლებელია იმერეთში მოჭრილი ნაბლის მერქნის გატანა.

ნაბლის პოპულაციის მდგომარეობა მძიმეა არა მხოლოდ მისი ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, არამედ უკანონო ჭრების უზარმაზარი მასშტაბის გამო. უკანონო ჭრების არსებული დონის გათვალისწინებით, ნაბლის ჭრაზე ამგვარი კანონდაღვევებისა და მიკერძობების პირობებში, ამ ძვირფას მცენარეს უახლოეს მომავალში დიდი საფრთხე დაემუქრება. დასავლეთ საქართველოში, სადაც უმუშევრობა და მძიმე სოციალური ფონია, ნაბლის მერქნის მოჭრა და ვაჭრობა შემოსავლის წყაროდ აქვს ქცეული მოსახლეობის ერთ ნაწილს.

საველე გასვლებისას ხარაგაულის რაიონში, სოფ. ვახანში ვნახეთ სახერხი საამქროები, რომლებიც მხოლოდ ნაბლის მერქანზე მუშაობდნენ. ამის შესახებ მივწერეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, წერილს ერთვოდა ფოტომასალაც (წერილი №04/02-44, 16 სექტემბერი, 2005). სამინისტროს მხრიდან ამ ფაქტს არანაირი

⁴ საბოლოო ანგარიში პროექტისათვის “იმერეთის რეგიონში ტყეების დაავადებათა თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და მათ საინააღმდეგოდ ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდის შემუშავება” (ნაბლნარების ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, მავნე ორგანიზმები, ხმოზის ეტიოლოგია და აღდგენა-გაჯანსაღების ღონისძიებანი), კავშირი “მეტყევეთა საზოგადოება”, თბილისი, 2004 წლის იანვარი.

⁵ “საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები, 2006, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, თბილისი, 52 გვ.

რეაგირება არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ პრესაშიც (გაზეთი ახალ ვერსია №380 21-22 სექტემბერი, 2005). მხოლოდ რვა თვის შემდეგ 2006 წლის გაზაფხულზე განახორციელა გარემოს დაცვის ინსპექციამ რეიდი ამ სოფელში და 50 კუბური მეტრი მოჭრილი ნაბლი აღმოაჩინა. ზარალმა 17 000 ლარი შეადგინა. რა რაოდენობით ნაბლი მოიჭრა ჩვენი შეტყობინებიდან გდი-ის რეაგირებამდე და ვინ უნდა აანაზრაუროს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი? რას უნდა მივანეროთ სამინისტროს ასეთი ინერტულობა: უწყებაში კომუნიკაციის სისუსტეს, საზოგადოებისადმი (ამ შემთხვევაში ჩვენი მიმართვისადმი) უყურადღებობას, თუ დანაშაულის შეგნებულად დაფარვას?

უკანონო ჭრები კოლხეთის ეროვნულ პარკში

რამხელა განსხვავებაა უკანონო ჭრების ფაქტიურ მოცულობასა და რეალურ რაოდენობას შორის შეიძლება დახლოებით წარმოვიდგინოთ კოლხეთის ეროვნული პარკის მაგალითზე ჩატარებული ანალიზის შედეგად.

კოლხეთის ეროვნული პარკი ტყის ჭრის მასშტაბებით პირველ ადგილზეა საქართველოში და შესაძლოა, მთელს სამხრეთ კავკასიაში. აქ ვხვდებით კოლხური ტიპის დაბლობის ტყეებს, სადაც გაბატონებული მერქნული სახეობაა მურყანი. ბევრისთვის ეს არის უზარმაზარი დაჭაობებული ფართობები, რომელიც არაძვირფასი მერქნის მომცემი ხე-მცენარის - მურყნითაა დაფარული. სინამდვილეში კი კოლხეთის ეროვნულ პარკში მოიცავს კოლხეთის დაბლობის უნიკალურ რეფუგიუმს.

2000 წელს გადაღებულ აეროფოტოებზე ნათლად ჩანს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განხორციელებული პირწმინდა ჭრები. უნდა ითქვას, რომ ჭრის წესების მიხედვით, დაბლობის მურყნარებში დაშვებულია მთავარი სარგებლობის ჭრების ერთერთი სახე - პირწმინდა ჭრები. ამ დროს გარკვეულ სწორკუთხა ფართობებზე (მაგ. 100მ X 100მ) პირწმინდად იჭრება მურყნის კორომი. ბუნებრივად დაახლოებით 15 წელიწადში ეს ადგილი კვლავ იფარება იმავე ზომის ხეებით. სამეურნეო თვალსაზრისით, თითქოს ასეთი გამოყენება დასაშვებია და გამართლებულიცაა, მაგრამ მის შედეგად ვიღებთ ძლიერ დეგრადირებულ ეკოსისტემას, ხეების ერთობლიობას და არა ტყეს. გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ჭრის ასეთი წესები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ხელოვნურ პლანტაციებში. ჩვენთან მოქმედი კანონმდებლობა (ჭრის წესები) კი უშვებს ასეთ ჭრებს, მაგრამ ისინი აკრძალულია დაცული ტერიტორიების ფარგლებში⁶.

ჩვენი გამოკვლევის თანახმად, კოლხეთის ეროვნულ პარკში უკანონო ჭრები საკმაოდ დიდი მასშტაბით ხორციელდება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მიერ მონოღებული მონაცემებით, 2001-2005 წლებში კოლხეთის ეროვნულ პარკის ტერიტორიაზე მოიჭრა სულ 6 515 მ³ საშეშე მერქანი. მათ შორის: კანონიერად — 4 561 მ³, ხოლო უკანონოდ — 1 953 მ³.

კოლხეთის ეროვნული პარკის დირექციის მიერ ამავე წლებში მოჭრილი კანონიერი და უკანონო ჭრების შესახებ მონაცემები განსხვავდებიან ამ რიცხვებისგან 380 მ³-ით. თითქოს სხვაობა დიდი არ არის, მაგრამ სტატისტიკურად ეს 17%-ზე მეტია. ეს მიუთითებს ყველა ამ მონაცემის ნაკლებ სარწმუნოებაზე. მართლაც, თუ სხვადასხვა უწყებებიდან მონოღებულ ინფორმაციას გავაანალიზებთ, თვალნათელივ დავინახავთ, რომ უკანონო ჭრების დიდი

⁶ დაცულ ტერიტორიაზე არ შეიძლება განხორციელდეს არც ერთი სახის მთავარი სარგებლობის ჭრა.

ნაწილი არ აღირიცხება.

კანონიერი და უკანონო ქრების საშუალებით მოპოვებული შეშის ამ რაოდენობის გამოყენება აღნიშნული 5 წლის განმავლობაში საკმარისი იქნებოდა დაახლოებით 200 ოჯახისათვის (თუ დავუშვებთ, რომ ერთ ოჯახს ესაჭიროება საშუალოდ 6 კუბური მეტრი შეშა).

კოლხეთის ეროვნულ პარკს ესაზღვრება ხობის, ლანჩხუთის, აბაშის, ზუგდიდის, სენაკის რაიონების სოფლები, სადაც ცხოვრობს 11 010 კომლი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში გასათბობად და საჭმლის მომზადებისათვის მხოლოდ შეშაზე არიან დამოკიდებული. ამას ემატება ქალაქ ფოთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. დეპარტამენტის აზრით⁷, ამ მოსახლეობის 85-90 პროცენტის მოთხოვნილება შეშაზე კმაყოფილდება შესაბამისი რაიონების სატყეო მეურნეობებში. მიუხედავად მცდელობისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია სატყეო მეურნეობებიდან, თუმცა შესაბამის ორგანოებს ამის მიღწევა შედარებით ადვილად გამოუვათ. თუ დავუჯერებთ კოლხეთის ეროვნული პარკის დირექციის ვარაუდს, ამ შემთხვევაშიც კი, კოლხეთის ეროვნულ პარკს უნდა დაეკმაყოფილებინა 1 100-1 650 კომლის მოთხოვნილება შეშაზე. ანუ საჭირო იყო 496 000 მ³ 5 წლის განმავლობაში. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ უკანონო ქრის მოცულობამ ამ პერიოდში შეადგინა 44 939 კუბური მეტრი.

2005 წლის ზამთრის პერიოდში მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგებისათვის გამოიყო სპეციალური ქრების ტყეკაფები. ხობის რიონის სოფ. საგვიჩიოს მოსახლეობისათვის 386,61 მ³ (260 კომლი, თითო კომლზე დაახლოებით 1,5 მ³), სოფ. ჭალადიდის მოსახლეობისათვის - 401.53 მ³ (მოსახლეობა 940 კომლი, თითო კომლზე დაახლოებით 0,42 მ³), ზემო ჭალადიდის მოსახლეობისათვის - 487,14 მ³ (მოსახლეობა 215 კომლი, თითო კომლზე დაახლოებით 2,3 მ³). კოლხეთის ეროვნულ პარკში სავალალო მდგომარეობაა - იჭრება იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ბუნებას შეუძლია აიტანოს, ხოლო სხვა საშუალება ადგილობრივ მოსახლეობას გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად არ გააჩნია.

რა შეიძლება მოხდეს მომავალში? კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომელთაგან არსებითია 15 პრიმა მუხლის დამატება (კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა) ამ მუხლში გადმოტანილია “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონის განმარტება ტრადიციული გამოყენების ზონის შესახებ, მოცემულია კონკრეტული უბნები და დაშვებული საქმიანობის სახეებზე მიმატებულია “თევზჭერა” და “მონიტორინგი”. სანაცვლოდ, ამ დამატებაში გაქრა (არ შევიდა) “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონში არსებული ისეთი მნიშვნელოვანი ჩანაწერი, როგორცაა საქმიანობათა ჩამონათვალში წინმსწრები განმსაზღვრელი ფრაზა “და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული”. შედეგად მივიღეთ გარემოება, როდესაც აპრიორი ხდება მოსახლეობის მოთხოვნილების და არა დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდებარე ეკოსისტემის შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინება. ანუ რამდენიც იქნება მოსახლეობის მოთხოვნილება ხე-ტყეზე, იმდენი მოიჭრება. თამაშის ეს წესი პირდაპირ წინააღმდეგობაშია “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ გადაწყვეტილების მიმღებთა შორის სულ უფრო აშკარაა განწყობა, რომ ეროვნული პარკი ხალხისთვისაა და ყველა ბუნებრივი რესურსი ხალხმა საჭიროებისამებრ უნდა მოიხმაროს, ხოლო გარემოს დაცვა მეორეხარისხოვან საქმეა, კოლხეთის ეროვნულ პარკს განუხრელი დეგრადაცია ემუქრება.

⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის წერილი. 01.11.2005, №8/369; ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 10.10.2005, №04/02-49 წერილის პასუხად;

სამკურნალო მცენარეებით ვაჭრობა

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გენეტიკური რესურსია სამკურნალო მცენარეები, რომლითაც მდიდარია საქართველოს ფლორა. სხვადასხვა მკვლევარები მიუთითებენ დაახლოებით 450-მდე სახეობის მცენარეზე, რომელთაც სამკურნალო თვისებები გააჩნიათ და გამოიყენებიან ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში. მცენარეთა სამკურნალოდ გამოყენებას საქართველოში უძველესი ტრადიცია გააჩნია. ბოლო წლების განმავლობაში არსებობს გარკვეული დაინტერესება უცხო ქვეყნებიდან რეგიონში არსებული სამკურნალო მცენარეული რესურსების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მოხდეს გენეტიკურ რესურსების ხელმისაწვდომობაზე კონტროლის მექანიზმისა და მათგან მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების პრინციპის ინტეგრირება ველური მცენარეების დაცვისა და სარგებლობის მარეგულირებელ ეროვნულ საკანონმდებლო ბაზაში, რათა ვისარგებლოთ ბიომრავალფეროვნების კონვენციით მინიჭებული უფლებებით.

ადგილობრივი მოსახლეობა სამედიცინო მიზნებისათვის მცენარეთა სხვადასხვა სახეობებს იყენებს. უპირატესად ეს არის ბალახოვანი მცენარეულობა და იშვიათად, ხეები და ბუჩქები, სოკოები და წყალმცენარეები. მათი ძირითადი ნაწილის შეგროვება ხდება ბუნებაში, რაც საფრთხეს უქმნის მცენარეთა პოპულაციებს. ასეთი პრაქტიკა იწვევს სამკურნალო მცენარეთა მრავალფეროვნების მკვეთრ დაქვეითებას.

სამწუხაროდ, ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზა თითქმის არ არსებობს, ხოლო ბოლო პერიოდში მიღებული ნორმატიული აქტების შედეგად, პრაქტიკულად დაუცველი დარჩა არამერქნული რესურსები.



2005 წლამდე საქართველოში არსებობდა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა მცენარეთა ველური სახეობების (მათ შორის სამკურნალო მცენარეთა) დაცვისა და მათი ბუნებიდან ამოღების რეგულირებისათვის. აღნიშნულ საკითხებს ითვალისწინებდა საქართველოს კანონები „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ“ „საქართველოს ტყის კოდექსი“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ასევე სხვა ნორმატიული აქტებით (მაგ. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებები და სხვ). ეს კანონები არ არის გაუქმებული, თუმცა მნიშვნელოვნად შეიზღუდა 2004 წლის ზაფხულში საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მიღების შემდეგ და პრაქტიკულად უფუნქციოდ დარჩა.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის (1996) თანახმად (მუხლი 47) საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეები რეგისტრირებულნი უნდა იქნენ საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების „ნითელ ნუსხასა“ და „საქართველოს ნითელ ნიგნში“, რომელთა სისტემატურ განახლებასა და გამოცემას ორგანიზებას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების „ნითელი ნუსხისა“ და „საქართველოს ნითელი ნიგნის“ წარმოების წესს განსაზღვრავს შესაბამისი კანონი, რომელიც მიღებულია 2003 წლის ივნისში. ამ კანონიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№303, 2006 წლის 2 მაისი) კი დამტკიცდა საქართველოს „ნითელი ნუსხა“. „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა (მოპოვება, ჭრა, თიბვა), რაც იწვევს მათი რაოდენობის შემცირებას.

„საქართველოს წითელი წიგნისა და წითელი წუსხის“ შესახებ კანონით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო დაცვას ექვემდებარება საქართველოს „წითელ წუსხაში“ შეტანილი სახეობები. შესაბამისად განისაზღვრა, რომ საქართველოს „წითელ წუსხას“, როგორც იურიდიული ძალის მქონე აქტს, ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. კანონის თანახმად, წითელი წუსხის სახეობები ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას, მათ მიმართ აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რაც იწვევს მათი რაოდენობის, ან არეალების შემცირებას. მათი მოპოვება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, სახეობათა აღდგენისას, კულტივირებისათვის, სამეცნიერო მიზნით. „წითელ წუსხაში“ შეტანილი სახეობების სტატუსის განსაზღვრა ხდება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კრიტერიუმების მიხედვით.

“გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (1996) თანახმად, ველურ მცენარეთა თვითაღწარმოებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის მათი გარემოდან ამოღება უნდა იყოს მკაცრად ლიმიტირებული და **ექვემდებარებოდეს ლიცენზირებას (მუხლი 46).**

საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამკურნალო ველური მცენარეული რესურსების ბუნებიდან ამოღება ირიბად რეგულირდებოდა საქართველოს ტყის კოდექსით (1999 წელი). აღნიშნული საქმიანობანი წარმოადგენენ ტყის კოდექსით განსაზღვრული ტყითსარგებლობის შემდეგ სახეებს:

1. ტყის მერქნიანი მცენარეები პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (თესლი, ნაყოფი, ძირკვი, ლაფანი, ფიჩხი, ნეკერი და სხვა) დამზადება;
2. ტყის არამერქნული რესურსებით (სოკოები, სამკურნალო ნედლეული და სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობა;

ტყის კოდექსის მიხედვით, არამერქნული რესურსებით (სოკოები, სამკურნალო, ტექნიკური ნედლეული და სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობისათვის სანებართვო დოკუმენტები იყო ხელშეკრულება ან ბილეთი.

სამწუხაროდ, 2005 წელს მიღებული “ლიცენზიებისა და ნებართვების” შესახებ კანონით, ისეთი ტიპის ლიცენზიები და სხვა სანებართვო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სამკურნალო მცენარეების და საერთოდ, არამერქნული რესურსების ბუნებაში მოპოვებას საერთოდ გაუქმდა.

ველური ფლორის სახეობებით ექსპორტი რეგულირდება, აგრეთვე, კონვენციით „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეებიდან კონვენციის II დანართში შეტანილია Galanthus-is, Cyclamen-is და Orchis-ის გვარის მცენარეები. შესაბამისად, მათი ექსპორტისათვის აუცილებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია. დღეისათვის ლიცენზიას საჭიროებს მხოლოდ Galanthus-ის და Cyclamen-ის წარმომადგენლები, ასე, რომ სხვა სამკურნალო მცენარეები რეგულაციის გარეშე არის დარჩენილი.

Galanthus-ის და Cyclamen-ის გვარის ზოგიერთი სახეობა, ძირითადად დეკორაციული მიზნებისათვის ექსპორტირდება, თუმცა საბაჟოს მონაცემებით, ზოგიერთ წლებში თეთრყვავილას ბოლქვების (Galanthus) გარკვეული რაოდენობა ექსპორტირებული იქნა, როგორც სამკურნალო ნედლეული.

კანონმდებლობით, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ექსპორტისათვის აუცილებელია, აგრეთვე, ფიტოსანიტარული კარანტინის სერტიფიკატი, რომელსაც გასცემდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. დღეისათვის ასეთ დოკუმენტებს გასცემს საბაჟო სამსახური (დეპარტამენტი).

1982 წელს გამოცემულ საქართველოს “წითელ წიგნში” შეტანილი იყო ზოგიერთი სამკურნალო მცენარე, რომელთაც დაემუქრათ გადაშენების საფრთხე ან გადაშენდნენ სწორედ სამკურნალო ნედლეულის სახით ჭარბი მოპოვების გამო. მაგალითად, მრგვალი წამალი (*Gymnospermum smirnowii*), კავკასიური დიოსკორეა (*Dioscorea caucasica*), ოქროსფერი ბონგარდია (*Bongardia chrysogonum*), ქართული კონახური (*Berberis iberica*), კავკასიური გლერძი (*Astragalus caucasica*), მრგვალფოთოლა დროზერა (*Drosera rotundifolia*), ზღვის შროშანი (*Pancreatium maritimum*).

სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა აზრით, არსებული რეალობიდან გამომდინარე 1982 წლის „წითელ წიგნში“ შეტანილ სამკურნალო მცენარეთა სახეობების რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო. ქართველი ბოტანიკოსები იშვიათ და შემცირებადი სახეობების კატეგორიაში შედიან შემდეგი მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეები: კატაბალახა (*Valeriana officinalis*), კავკასიის დათვის კენკრა (*Arctostaphylos caucasica*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasica*), კავკასიური შმაგა (*Atropa caucasica*), ძირტკბილა (*Glycyrrhiza glabra*). განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებათ დეკორატიულ მცენარეებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ ექსპლუატაციას. ეს განსაკუთრებით შეეხება ადრეული გაზაფხული ფლორის წარმომადგენლებს. მაგალითად: ყოჩივარდა (*Cyclamen vernum*), ხარისძირა (*Helleborus caucasica*).

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე ფაქტიურად არ მომხდარა ველური სამკურნალო მცენარეების არეალებისა და პოპულაციების მდგომარეობის აღწერა-შეფასება, მათი მარაგების განსაზღვრა. არასაკმარისი მონაცემების გამო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა წითელი ნუსხის სახელმწიფო კომისიამ ვერ შეძლო ახალ “წითელ ნუსხაში” ბალახოვანი მცენარეების სახეობების შეტანა. (როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდის “წითელი წიგნისგან” განსხვავებით, ახალი “წითელი ნუსხა” შედგენილ იქნა IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით). დღეისათვის მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ბალახოვან მცენარეებთან დაკავშირებით, დამუშავდება არსებული მონაცემები და გროვდება ახალი, რათა უმოკლეს ვადაში ბოლომდე დაკომპლექტდეს საქართველოს “წითელი ნუსხა”. მაგრამ დღესდღეობით ზემოხსენებული გარემოებების გამო, სამკურნალო მცენარეების სახეობები უფრო დაუცველნი არიან კანონის მიერ, ვიდრე წინა წლებში.

სამკურნალო მცენარეებს ბუნებაში მოიპოვებს ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა შემდეგი მიზნით:

1. ბაზარზე რეალიზება;
2. „მწვანე აფთიაქებში“ ჩასაბარებლად;
3. მსხვილი დამამზადებლებისაგან კონკრეტულ სახეობაზე სპონტანურად გაჩენილი მოთხოვნის მიხედვით.

კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ეწევიან მცენარეების ექსპორტს, ჩადიან სოფლებში და ავრცელებენ ინფორმაციას, რომ გარკვეული სახეობის მცენარეს ჩაიბარებენ, რისთვისაც იხდიან კონკრეტულ ფასს. სოფლის მოსახეობა, რომლებიც უკიდურეს მატერიალურ შეჭირვებას განიცდის, უმუშევრობის გამო ასეთ არარეგულარულ შემოსავალზე ადვილად თანხმდება. ასეთი პრაქტიკის არსებობას ადასტურებენ

ადგილობრივი მოსახლეობა და თავად მწარმოებლები. ინტერვიუებში მიუთითებდნენ შემდეგი სამკურნალო მცენარეების უნებართვო და მასიურ დამზადებაზე: კულმუხო (კახეთის რეგიონში), ენდროს ძირები (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), კუნელი (აჭარის რეგიონი), უკვდავა (ნეგო) ადიგენის რაიონში. უთხოვარის ტოტებს იბარებენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან ძირითადად ყვავილების გვირგვინების მოსართავად.

არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზისა და, შესაბამისად, კონტროლის მექანიზმის უმოქმედობის გამო ამ რესურსის ბუნებიდან ამოღება ძლიერ საფრთხეს უქმნის პოპულაციებს და უახლოეს მომავალში შესაძლოა განადგურების საშიშროების წინაშე დააყენოს.

საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები

კონვენცია საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ანუ ვაშინგტონის კონვენცია მიღებულია 1973 წელს. მის მიზანს წარმოადგენს ველური ფაუნისა და ფლორის უკანონო მოპოვებისა და მათი არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ექსპორტ-იმპორტისა და საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტური კონტროლის გზით. კონვენციაზე ხელის მოწერით, სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ:

- ველური ფაუნა და ფლორა თავისი მრავალრიცხოვანი, მშვენიერი და სხვადასხვაგვარი ფორმით წარმოადგენს დედამიწის ბუნებრივი სისტემის შეუცვლელ ნაწილს;
- სახელმწიფოები უნდა იყვნენ თავიანთი ველური ფაუნისა და ფლორის საუკეთესო დამცველნი;
- საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია ველური ფაუნისა და ფლორის განსაზღვრულ სახეობათა დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

დღეისათვის კონვენციის მონაწილე მხარეა მსოფლიოს 169 ქვეყანა. ამ კონვენციას საქართველო 1996 წელს მიუერთდა. 1996 წელს CITES-ის სამდივნომ და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ (The World Custom Organization) ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რითაც აღიარეს საბაჟო სამსახურების უმნიშვნელოვანესი როლი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების არალეგალური ვაჭრობის აღკვეთისა და ამ გზით მათი დაცვის საქმეში.

CITES-ის სამდივნო არის შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში. იგი კურირებს კონვენციის მონაწილე მხარეებს, მხარს უჭერს კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში, იხილავს მხარეთა მიერ მომზადებულ ეროვნულ მოხსენებებს და ორგანიზებას უკეთებს კონვენციის მონაწილე მხარეთა კონფერენციებს. კონვენციის მონაწილე მხარეთა კონფერენცია ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, რომელზედაც ქვეყნების წარმომადგენლები განიხილავენ კონვენციის შესრულების მდგომარეობას და შეიმუშავენ რეკომენდაციებსა და რეზოლუციებს კონვენციის მიზნებისა და დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, აწესებენ იშვიათი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის დასაშვებ კვოტებს. კონვენცია თითოეულ მონაწილე მხარეს ავალდებულებს ეროვნულ დონეზე შექმნას ან დანიშნოს კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ეროვნული ადმინისტრაციული და სამეცნიერო ორგანოები და შესაბამისად გააკონტროლოს კონვენციის I, II და III დანართებში შესული სახეობების და მათი ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობა.

საქართველოში კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური). ასევე შექმნილია კონვენციის

სამეცნიერო ორგანო.

CITES-ის სახით შექმნილია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებითა და მათი დერივატებით საერთაშორისო ვაჭრობის მაკონტროლირებელი და მარეგულირებელი მსოფლიოში აღიარებული ერთიანი სისტემა. ამავე სისტემით ხდება CITES-ის დანართებში შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რიცხოვნობის კონტროლი. კონვენციით მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობა ნიშნავს CITES-ის დანართებში შეტანილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ან მათი ნაწილების ექსპორტს, რეექსპორტს, იმპორტს და ინტროდუქციას ზღვიდან (სახელმწიფოში ნებისმიერი ისეთი სახეობის შეტანას, რომელიც მოპოვებულია ნეიტრალურ წყლებში). საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება და კონტროლი ხორციელდება CITES-ის ნებართვებისა და სერტიფიკატების საშუალებით, რომელთა გარეშეც შეუძლებელია კონვენციის დანართებში არსებული სახეობებით და მათი ნაწილებით საერთაშორისო ვაჭრობა. კონვენციის ყველა მონაწილე ქვეყნისათვის შემუშავებულია ნებართვის ან სერტიფიკატის სტანდარტული ფორმა. საერთაშორისო ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო კომერციული მიზნით. ნებართვას ან სერტიფიკატს ასევე საჭიროებს მცენარის ან ცხოველის ექსპორტი, იმპორტი და რეექსპორტი ბოტანიკური ბაღებისა და ზოოპარკებისათვის, საცირკო სანახაობებისათვის და გამოფენებისათვის, სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან პირადი სარგებლობის მიზნით.

„გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციას აქვს სამი დანართი.

I დანართი მოიცავს გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, რომლებითაც ვაჭრობა საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას მათ არსებობას. ამ სახეობებითა და ნიმუშებით ვაჭრობა განსაკუთრებით მკაცრად რეგულირდება და ნებადართულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. I დანართის სახეობებით კომერციული მიზნით ვაჭრობა მკაცრად აკრძალულია.

II დანართი მოიცავს სახეობებს, რომელთაც ამჟამად არ ემუქრებათ გადაშენების საფრთხე, მაგრამ შესაძლებელია აღმოჩნდნენ ამგვარი საშიშროების წინაშე, თუ ვაჭრობა ამ სახეობებით და მათი ნიმუშებით მკაცრად არ იქნება დარეგულირებული.

III დანართი მოიცავს სახეობებს, რომლებიც კონვენციის ნებისმიერი მხარის განსაზღვრით ექვემდებარება რეგულირებას ექსპლუატაციის შეზღუდვის ან აცილების მიზნით მისი იურისდიქციის ფარგლებში და რომელთა მიმართ აუცილებელია სხვა მხარეთა თანამშრომლობა ვაჭრობაზე კონტროლის განსახორციელებლად.

კონვენციის დანართებში შეტანილია კატისებრთა ოჯახის ყველა სახეობა, დათვისებრთა ოჯახის ყველა სახეობა, სპილოს ორივე სახეობა (ვაჭრობის ძირითად საგანს წარმოადგენს სპლოს ძვალი და მისგან დამზადებული ნაკეთობები), ყველა თუთიყუში, გარდა ტალღოვანი თუთიყუშებისა და კარელებისა, ზუთხისნაირი თევზები (შეზღუდვა ეხება არა მარტო ცოცხალ ინდივიდებს, არამედ მათ ხორცსა და ხიზილას.) და ა.შ.

კონვენციის I და II დანართში შეტანილია საქართველოში გავრცელებული ფაუნის 76 და ფლორის 63 სახეობა.

კონვენციის დანართებში შემავალი სახეობებიდან ყველაზე დიდი ოდენობით საქართველოდან გადის თეთრყვავილასა (Galanthus) და ყოჩივარდას (Cyclamen) ბოლქვები. ამ ნედლეულით ვაჭრობა კვლავაც არ არის მონესრიგებული საკანონმდებლო დონეზე, რაც რთულ პრობლემებს ქმნის. განსაკუთრებით ეს ითქმის თეთრყვავილას ბოლქვებით ვაჭრობაზე.

CITES სამდივნო საქართველოს მხარეს უფლებას აძლევს წლიურად მოახდინოს არაუმეტეს 18 მილიონი ბოლქვის ექსპორტი. აქედან 16 მილიონი გადის თურქეთში და შემდეგ ჰოლანდიაში, 2 მილიონი კი პირდაპირ ექსპორტირდება ჰოლანდიაში. თეთრყვავილას ბოლქვები ძირითადად მოიპოვება აჭარაში. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, მოპოვება ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, რომლებიც განლაგებული არიან ტყის პირებზე. ექსპორტიორები იბარებენ ასეთ სავარგულებში მოპოვებულ ბოლქვებს გლეხებისაგან. სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს ამ ბიზნესში დამკვიდრებას. ამის გამო, ექსპორტის ნებართვაზე მოთხოვნა მოვაჭრეთა მხრიდან ადის 40-50 მლნ ბოლქვზე. მთლიანად ისინი ასახელებენ 500-მდე ნაკვეთს, სადაც თითქოსდა გამოყავთ ბოლქვები. გარდა ამისა, არსებობს ეჭვი, რომ საექსპორტო ბოლქვების მნიშვნელოვანი ნაწილს ბუნებაში მოიპოვებენ გლეხები და აბარებენ ექსპორტიორ ფირმებს. 2004 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იმერეთის რეგიონალური სამსახურისა და ეკოპოლიციის მიერ დაკავებული იქნა 40 ტონამდე უკანონოდ მოპოვებული თეთრყვავილას ბოლქვებით დატვირთული მანქანა.

CITES სამდივნო თვლის, რომ ნაკვეთები, საიდანაც ექსპორტიორები იღებენ ბოლქვებს, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ხელოვნური პოპულაცია და მიაჩნია, რომ დღეს დაშვებულ რაოდენობით ბოლქვების ექსპორტი (18 მილიონი) არ შეიძლება არ ახდენდეს უარყოფით ზეგავლენას მცენარის პოპულაციაზე და საჭიროა კვლევის დაწესება 10-12 მილიონამდე. სწორედ ეს გარემოებაა, რომ აჩერებს გადაჭარბებულ მოპოვებას, თორემ შესაძლოა წელიწადში 100 მილიონი და მეტი ბოლქვიც გაეტანათ. მენეჯმენტი უფრო ეფექტური იქნებოდა, მიღებული რომ ყოფილიყო CITES საკითხების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა. სამწუხაროდ, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ეს საკითხები. საჭირო გახდა დამატებით ცვლილებების შეტანა, თუმცა ესეც არ არის საკმარისი.

როგორც ვნახეთ, რომ არა საერთაშორისო ინსტიტუტების, კერძოდ CITES-ის გავლენა, ყოჩივარდასა და თეთრყვავილას პოპულაციებს გადაშენება დაემუქრებოდათ, რაც თავის მხრივ ვინ იცის რა ცვლილებებს გამოიწვევდა ეკოსისტემაში.

ამიტომ უპრიანი იქნება, თუ საქართველო გამოიყენებს შესაძლებლობას, რომელსაც ანიჭებს კონვენციის წევრობა და მეზობელ ქვეყნებს ჩართავს იშვიათი სახეობებით ვაჭრობის მონიტორინგში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში უთხოვარის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ამ სახეობის შეტანა ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის, ანუ CITES-ის მესამე დანართში. ეს საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას, მიიღოს ინფორმაცია სხვა ქვეყნების შესაბამისი სამსახურებისგან უთხოვარის ექსპორტის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს უკანონო ქმედებებზე კონტროლის განხორციელებას. ეს არ გამოიწვევს არანაირ დამატებით ხარჯებს სახელმწიფოს მხრიდან და მოითხოვს მხოლოდ სამინისტროს კეთილ ნებას.

ამ მიზნით ჩვენმა ორგანიზაციამ წამოიწყო კამპანია. საქართველოს მოქალაქეები გაუგზავნიან წერილებს სამინისტროს თხოვნით, რათა მოხდეს ამ მცენარის შეტანა CITES-ის მესამე დანართში. გარდა ლობიებისა, ამ კამპანიას მეორე მიზანიც აქვს: მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება.

შესაძლებელია CITES-ის მესამე დანართში სხვა სახეობების შეტანაც, რომლებზეც დიდია სავაჭრო მოთხოვნა და ამის გამო მათ საფრთხე ემუქრებათ ჩვენს ქვეყანაში. ეს შეიძლება იყოს როგორც მერქნიანი სახეობები, როგორებიცაა ნაბლი, მუხისა და ნეკერჩხლის სახეობები, ისე ცხოველებიც, რომლებიც არალეგალური ნადირობის ობიექტები არიან და არ არიან შეტანილი დანართებში - აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი ჩაპრა *cylindricornis* და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი ჩაპრა *caucasica*.